

საქართველოს

დამოუკიდებლობა

№ 2

№ 2

რედაქციის დროებითი მისამართი:

60, rue Dombasle, Paris (15) M^r R. Gabachvili.

L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

ორგანო „ქართული დემოკრატიული რევოლუციური ცენტრისა უცხოეთში“.

სამარცხინო აპტი

ქართველი ემიგრაციის ორი წლის დასრულებული მცდელობა ეროვნული მოღვაწეობის აღსადგენად მარცხით დასრულდა. სანამ „ქართული ეროვნული ცენტრი“ დაარსდებოდა, ჩვენმა ნაციონალურმა წრეებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო აღნიშნული ცენტრის მიუხედავად „მთავრობის“ ცოდვებისა წარსულში, არ გვინდოდა ეროვნული ღირსების შელახვა, და რაც არ უნდა ფიქტიური ყოფილიყო მათი წარმომადგენლობა, ვეცადეთ არც ისინი ყოფილიყვნენ გარიყულნი საერთო ბრძოლიდან. ეს არ მოხერხდა. ერთი ნაწილი მის გარეშე დარჩა. შემდეგშიც ჩვენი ყველაფერი ვქმენით, ჩვენი მენეჯერების ცრთი ნაწილი, რომელიც აშკარად მიიღობდა რუსებთან კავშირისაკენ, აგვეტყინა ამ სამარცხინო გზიდან და მათი ძალაც ეროვნული ჩარჩოებში ჩაგვეყენებინა. მაგრამ ამ ხალხის სულიერმა და ცემამ სძლია საღ აზრსა და პატრიოტიზმს. არა მარტო თვითონ გადაიჩნეხნენ მტრის წუმბეში, თან გადაიყვალნენ მენეჯერების ნაწილიც, რომელსაც მეთაურობენ ჩვენი ყოფილი ეროვნული მთავრობის წევრნი ბ.ბ. ნ. ჟორდანიასა და ი. გეგეჭკორი და რომელნიც აქამდე ქვეყანას აყრუებდნენ, რომ ისინი ყრის მიერ წარმოგზავნილ მთავრობას წარმოადგენენ და ისინი იცავენ შეუღლებად წმინდა ეროვნულ ინტერესებს.

უკანასკნელი ხანებში ევროპაში გაჩნდა ერთი ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელი რუსის შთამომავლობით, ბ. ღონ-ლეიანი, რომლის მიზანი იყო შეკავშირება რუსების მიერ დაპყრობილ ერთა ემიგრაციებისა რუსის ემიგრაციასთან და შექმნა ერთი საერთო ფრონტი ბოლშევიზმის წინააღმდეგ (იხ. აქვე ბ. ღონ-ლეიანის ინტერვიუ). რაც პირდაპირ უბასუბებს წმიდა რუსულ ინტერესებს და უთიშება ეროვნული ბრძოლის ხასიათს. ამ მოლაპარაკებაში აღმოჩნდა ნივთიერი დაპირებაც და ამან საბოლოოდ გამოარკვია მენეჯერების პოზიცია. ამ დაპირებამ ორი ერთი მეორის წინააღმდეგ სასიკვდილოდ დაპირისპირებული ჯგუფი შეაერთა ეროვნული ღირსების შელახვის ხარჯზედ. ამ ფაქტით ნაციონალური პოლიტიკის მეთაურნი: ყოფილია - გეგეჭკორი და აჩუბანი რუსთაში, არსენიძე - ცინცაძე. მათვე აცხადებს ეს ზოგიერთი არამეცნიერ ნაციონალისტები და ყველამ ერთად კერძონის თავი კალთაში ჩაუღეს.

ყველა ეს დაწესებულებით რომ გამოვარკვეთ, ქართველი საზოგადოება სპეციალური ფორცლითაც გადაფრთხილეთ, რათა არ წამოვებოდა ამ სამარცხინო მახეს. მენეჯერებმა ეს ქორად გამოაცხადეს და ხალხს არწმუნებდნენ პრესით თუ სიტყვით, რომ ჩვენ ხალხს ვატყუებდით და რომ არავითარ ამის მაგასი არ ასრულებდა. ამით მოატყუილეს ერთი ნაწილი პარტიის ქართველები, მიიწვიეს კრებსა და იქ შეითიხნენ რაღაც „ეროვნული საბჭო“, რომელიც უნდა გაეწია მოციქულობა რუსებთან შეუღლებად. ცხადია, ეს ფაქტი აღნიშნულ ქრებაზედაც დაუმალეს ხალხს, სადაც დიდი უმრავლესობა

წინააღმდეგი იყო რუსებთან ყოველგვარი კავშირისა. მაგრამ სიტუაციის მთელი ყველასათვის აშკარა გახდა. ამა წლის 7 ნოემბერს ლეინ-კეჩუცის მეთაურობით უისბადენში მოწვეულ იქნა ე. წ. რუსეთის ხალხთა და თვით რუსეთის დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლობა სათათბიროდ.

ამ თათბირის ანგარიშები უკვე გამოქვეყნდა რუსულ და ქართულ პრესაში და აქედან ყველას შეუძლია თავისი საკუთარი თვალის ნახოს ყველაფერი (იხ. „რუს სკოლა მისლ“ 14 ნოემბერი 1951 წ. და „ბიულეტენი“ № 1).

ვინ დაესწრო ამ კრებას? ორმოც მილიონიან უკრაინის ემიგრაციას ერთი მოლაპარაკებელიც არ აღმოაჩნდა რომ იქ გამოცხადებულიყო და უკრაინის სახელით ელაპარაკა. სომხეთის წარმომადგენლები, რომელთა მთავარ და ერთად ერთ ძალას წარმოადგენს დაშინებული პარტი, იქ მოვიდნენ მხოლოდ თათბირის შემდეგ და განაცხადეს, რომ ისინი არ მოსულან ჩაიმიე მონაწილეობისათვის, არამედ უბრალო მეთაურობდნენ. აღდგენილ განსაკუთრებულ პროტესტს განაცხადეს. ასეთსავე პროტესტს აცხადებს ქართული ემიგრაციის ეროვნული ცენტრი და ჩრდილო კავკასიის მთიელები. ასეთ პირობებში რუსებმა მოახერხეს და მოახერხეს ნივთიერი გრძობებით ამოძრავებელი თითო-ორი პირი ზოგიერთი ემიგრაციებისა და ასე შეცდგის თათბირი, რომელსაც აირჩია თავისი კომიტეტი მომავალი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. ყველა ამ საქმეებში ერთად ერთი ქართველი მენეჯერები იყვნენ აქტიური წარმომადგენლები და თვით თათბირიც ბ. ნ. ცინცაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა. ასე მოხდა ცინცაძე - კეჩუცის ქორწინება, სპეციალურად მომზადებულ ბანკეტზედ მათი ერთადერთი მყოფებისა და ქველმოქმედის ბ. ნ. ღონ-ლეიანის მეგობრეობით.

ამ აქტმა საბოლოოდ გამოამჟღავნა ჩვენი ზოგი მენეჯერების ნამდვილი სახე. მათ დღეს შემდეგ ხომ მაინც აღარა აქვთ საშუალება სთქვან რაიმე. ხომ ახლა ჩვენი გაფრთხილება! ხომ გამართლდა ჩვენი ფიქვი, რომ ისინი რუსებსაცენ მიიღობდნენ და ამით კავშირს სწყვეტდნენ ეროვნულ ბრძოლასთან! კიდევ უფრო სამარცხინო ის არის რომ ამ გზას არ ვაყვებენ არც ერთი დაპყრობილი ერისა შვილები და ქართველებს, რომელთა ეროვნული ბრძოლის ურყევ ტრადიციას მთელი ქვეყანა აღიდებდა, აღმოაჩნდათ იმდენი სულიერი სიმდაბლე, რომ ის შიილეს! ამით ჩვენმა მენეჯერებმა შეარცხინეს 30 წლის შეუღლებული ბრძოლაში დაღუპულთა სახელები, რომელთა შორის ბრწყინავს მრავალი თვით სოციალდემოკრატების სახელი. შეარცხინეს ჩვენი ხალხის საუკუნოებრივი შეურყევლობის და ქედმოუხრელობის ტრადიციები და თავი დახარეს იმ ცრუის შვილების წინაშე, რომელმაც ორჯერ დაიპყრო საქართველო და დღესაც სისხლში ახრჩობს მას.

† ვახტანგ ლამაზიძე

ვახტანგ ლამაზიძის სიკვდილმა ჩვენს კოლონიაში დიდი მწუხარება გამოიწვია. ის გარდაიცვალა ინგლისში თავისი ქალის ოჯახში. ვახტანგი დაიბადა სოფელ ზესტაფონში 28 აპრილს 1872 წ. მისი დედა ოლია, ყაზბეგის ასული, ჩვენი მწერლის ალი ყაზბეგის ნათესავი იყო. მის მამას, დეკანოზ დავითს, თანამშრომელს გაბრი-



ელ აბისკაბოზისა, მთელი ქართველი ერის წინაშე უაღრესი დამსახურება მიუძღოდა, როგორც რედაქტორ - გამომცემელს ყოველთვიურ ჟურნალ „მწყემსი“-სა. ეს უკანასკნელი ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იცავდა; მეფის სინოდის რუსული წესების ქართულ ეკლესიაში შემოღებას სასტიკად ებრძოდა. ჯერ კიდევ გერმანიის მოწვევით ვახტანგი, მამის ჟურნალის წერილების კორექტურას ასწავლებდა; ქუთაისის მოწვევების პატრიოტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის ის გერმანიიდან დაითხოვეს და მან საშუალო სწავლა თბილისში დაამთავრა. მოსკოვში საექიმო ფაკულტეტის გათავების შემდეგ, ვახტანგი უცხოეთში გაემგზავრა და პარიზში სამედიცინო პრაქტიკულ, მეცნიერულ მუშაობას ორი წლის განმავლობაში განაგრძობდა; იქ მან შეიერთა ქ-ნი ვანდა, რომელმაც მოკლე ხანში შეისწავლა ქართული ენა. ქართული საზოგადოების საუკეთესო წევრებისათვის

ქ-ნი ვანდას ოჯახი ნამდვილ კერად იყო გადატყუილი.

სუსტ ბავშვების ვახტანგის პატარა ცემის სანატორიუმში, ევროპულად მოწყობილი მთელს საქართველოში ცნობილი იყო, ამავე დროს ჩვენი რჩეული მოღვაწეებისათვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა, დასასვენებელი საკურორტო ადგილად მან ეს სანატორიუმი გახდა; და ყოველივე ეს უნდა გარდახდებოდა, — ეს იყო მისი მდიდარი კეთილი სულიერი მითხოვნილება, — ეს იყო მისი ქრონული მორალის შეგნების დაკმაყოფილება.

ვახტანგის სახელი, როგორც ექიმისა, ქართველ ხალხში დღითი-დღე ბოლომდე რული ხდებოდა. ამავე დროს ის ეროვნულ პოლიტიკურ მუშაობა-მოქმედებაშიც იყო ჩამბული; მისი პატრიოტული მოღვაწეობის შინაარსი ქართველ ხალხში საარაკოდ ვრცელდებოდა.

აქ, უცხოეთში ჩვენი კოლონიის თავმჯდომარედ იგი სანჯერო იყო არჩეული. საფრანგეთის ოკუპაციის დროს მისი ინიციატივით დაარსდა ხუთთვილი საკონსპირაციო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო თავდადრივის დაქვერვა, მოსალოდნელ ამბების გამო, ჩვენი ტყვეების და ემიგრაციის დასაცავად. ლიბურაციის პირველ ხანში, მიუხედავად მრავალ სიძინელსა, ამ ხუთწლიან საფრანგეთის მთავრობის ნებართვით დაარსდა „ქართული ეროვნული კომიტეტი საფრანგეთში“, რომლის თავმჯდომარედ ვახტანგი უკანასკნელამდღეს დაარჩა. ამავე დროს მისი მხურვალე მონაწილეობით პირველად გამოვიდა ქრებული „მქანა“.

ძველი და ახალი ემიგრაციის ზოგიერთი წევრები განურჩევლად მათი პატრიოტული სხვა და სხვაობისა, თავს იყრიდა ვახტანგის ბინაზე, სადაც იმართებოდა მოხსენებები შესახებ ჩვენი ლიტერატურის, ისტორიის, თეატრის, იკითხებოდა მოგონებები და განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ემიგრაციის ორი წევრის ხელთაწერის წაკითხვა.

როდესაც საჯარო კრების გამართვა ნებადართული შეიქმნა, ვახტანგის ინიციატივით და მისი თავმჯდომარეობით გაიმართა რამოდენიმე მოხსენება ჩვენი მწერლობის და პოეტების შესახებ.

გასულ წელში 19 ნოემბერს მომხდარ კონფერენციასზე ვახტანგი ერთხმად აჩრეული იყო საპატიო წევრად „ქართული ეროვნული პოლიტიკური ცენტრი“-სა. ამ უკანასკნელს იგი უგზავნის მოლოცვის წერილს, რომლიდან ჩვენ ვსარგებლობთ ერთი პატარა აბსაქით: „ამ წერილმა მეტად მასამოვნა, რადგანაც მან მაუწყა შეტად იშვიათი და ჩვენი ემიგრანტულ ცხოვრებაში მოულოდნელი ამბავი; დიდი ხანია რაც ჩვენი ემიგრაცია მიზნად ისახავდა სამშობლოსაგან დაშორებული ყველს მამულიშვილის გაერთიანებას, მაგრამ სამწუხაროდ ეს საოცნებო აზრი მოუღწევლი ჩრებოდა. დღეს რადგანაც ეს დიდი ხნის ნანატრი შეთანხმება უკვე ასრულდა, მე დიდს ალტაცებით ვეგებები ამ ახალ მოვლენას და სულით და გულით ვუსურ-

ჩვენი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლების ისტორიას სამუდამო ლაქად დარჩება მისი ზოგიერთი შვილების ასეთი ლაჩრული აქტი. ხოლო ამას ისტორიას ასრულებს არ აბატიებს იმ ადამიანს, რომელიც იყო თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი; იმ ადამიანს, რომელიც უნდა ყოფილიყო ღირსი მეთაური ჩვენი ეროვნული ბრძოლისა და სიმბოლო ჩვენი თავისუფლებისა.



LA DECLARATION

DU CENTRE NATIONAL POLITIQUE GEORGIEN A L'ETRANGER.

Au début du 19^e siècle la Géorgie devint la victime de l'expansion impérialiste de la Russie. Vaincue physiquement, elle ne put être asservie spirituellement. Ses insurrections nationales et la continuité de sa résistance culturelle à l'envahisseur, préservèrent — en droit absolu — sa figure historique d'Etat Indépendant « annexé » !

En 1918 elle rétablit sa Souveraineté et la fit reconnaître de Jure par l'Univers civilisé. En 1921 elle fut à nouveau réoccupée. Depuis — durant 30 ans — la Nation Géorgienne ne cesse de lutter pour reconquérir son Indépendance.

Jusqu'à ce jour, aucun des Mouvements politiques de l'Emigration Russe ne renonce au vieux principe impérialiste de la « Russie Une et Indivisible » et ne veut reconnaître le droit à l'Indépendance des Etats occupés.

Tout récemment, dans une faible fraction de l'Emigration Russe, naquit l'idée d'une certaine, prétendue, rénovation de la politique tradition-

nelle de la Russie, qui se traduit par l'agrément et la promulgation — par cinq organisations politiques russes, sous l'égide de M. Kerensky — d'une Déclaration de principes, commune.

Le « Droit à l'Autodétermination des Peuples de Russie » qui y est énoncé n'est pas nouveau, il s'en faut ! Il avait été admis il y a quelques 50 ans par l'ensemble de la Démocratie Socialiste Russe (Mencheviste et Bolcheviste). Il est de notoriété publique, cependant qu'il n'a jamais reçu d'application de la part de ses auteurs.

Il suffit de jeter un coup d'œil sur la Déclaration précitée pour se convaincre que ses promoteurs continuent la vieille politique Grand'Russe, à peine travestie.

Cette tendance se trouve confirmée par le fait que la question des peuples occupés par la Russie continue à être considérée par eux comme une question INTERIEURE RUSSE.

Les émigrations politiques non-russes opposent une Protestation unanime, et catégorique, aux prétentions

de l'Emigration Russe et réaffirment l'intangibilité de leurs Droits Nationaux.

Le Centre National Politique Géorgien à l'Etranger, en tant que dépositaire de la pensée politique de l'Emigration politique géorgienne, à cette occasion :

rappelle que les pays occupés par la Russie Soviétique sont des victimes à la fois nationales et politiques, d'un pays et d'un régime qui ne sont pas les leurs,

et que seule la restauration, inconditionnelle, des Etats souverains subjugués par la Russie, peut et doit résulter de la défaite finale, inéluctable du bolchevisme.

Le C.N.P.G.E. met l'accent sur le caractère d'imposture internationale que revêt l'inqualifiable manœuvre, de Wiesbaden ; manœuvre, qui sous le couvert de l'intention de réaliser l'union des émigrations antisoviétiques, veut préparer les voies du « 3ème Empire Russe » (les Soviets constituant déjà le 2ème).

Le C. N. P. G. E. déclare, solennellement, irrecevable tout engagement portant atteinte à la souveraineté et aux droits imprescriptibles de l'Etat de Géorgie, consacrés par des Actes internationaux et par 3000 ans d'Historique.

Le C.N.P.G.E. convie les organismes dirigeants nationaux, en exil, des Etats asservis par la Russie, à unir leurs efforts en vue de la réalisation complète de leur objectif commun : — défaite et désintégration de l'URSS.

Le C.N.P.G.E. attire l'attention des nations du Pacte Atlantique sur le fait que les 100 millions d'habitants non-russes de l'URSS constituent un allié potentiel de première importance.

Le Comité Exécutif du CENTRE NATIONALE POLITIQUE GEORGIEN A L'ETRANGER.

Paris, le 27 Novembre 1951.

ჩ ვ ი ე ლ ა რ უ ს ე თ ი

ქართველ ერს, ათასწლეული წლების არსებობის მანძილზედ მიზანმიმართული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გამომუშავდა. მათ წინააღმდეგ მუდმივ მტრულად იმყოფებოდა რუსეთი; ხშირად მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენდა. ეს მსხვერპლი მუდამ იყო უანგარო, გარემო ყოველივე დღიურ და წარმავალი ინტერესებისა; რომ მომავლისათვის უზრუნველყოფილი იყოს ერის სიცოცხლე და უკვდავება.

ქართველმა ერმა ყველაფერი გასწიწა ამ საშოლონო იდეალისათვის, ხოლო მორჩილება არავისათვის გამოუცხადებია. მტრის ძალა მას არ უცვლია. მორალურად და სულიერად ის დარჩა თავისუფალი. უფლებრივად შეუღლებია ვინც ჩვენს ქართულ ხალხს ისტორიას ღრმად ჩაუკვირდება, დაინახავს, რომ ეს შეუქცეველი სულიერი ძალა იყო მთავარი ფაქტორი ერთნული დღეგრძელობისა. ვერავითარი იდეოლოგიები, ვერავითარი აზრები და გარემოებიანი ვერა გაბათილდნენ ამ ურყევ შემართებას და ის მუდამ დარჩება ჩვენი პოლიტიკური მოქმედების საფუძვლად.

ამ საერთო საზომით უნდა იყოს დაფასებული, ის მდგომარეობაც, რომელიც შეუქმნა საქართველოს მისმა უკანასკნელმა დამპყრობელმა.

მთელი მე-19-ე საუკუნის განმავლობაში, განუწყვეტელი ბრძოლებითა და მსხვერპლით, ქართველმა ერმა ნათელყო, რომ ის განაგრძობს თავისი არსებობის ისტორიულ ტრადიციას ქედმოუხსნელობისა.

მტერი ყოველთვის სცდილობდა ჩვენი ქვეყანა განეიარაღებინა ამ მთავარი ძალი-საგან, მაგრამ ვერ შესძლო. მე-20-ე საუკუნეში საქართველოშიც შემოიჭრნენ კოსმოპოლიტური იდეები სხვა და სხვა ნიუანსებით, რომელთაც ოდნავ დაახინეს ქართველი ერის საუკუნოვანი ნაგები და დაუნგრეველი სულიერი შენობა. მაგრამ ვერ ჩასწვდნენ მის საძირკველს და როგორც კი შეიკრა სრულყოფის ტახტი, ქართველი ხალხში იფეთქა თვითმყოფობის გრძობა. ეს გრძობა იყო ისე დიდი, რომ ყოველი ჯერის პროტესტანტებს, ჯგუფებსა და პარტიებს, რომელნიც ერის გარეშე, რაღაც ფანტასტიურ გეგმებში ეძიებდნენ ხალხის ზედნიერებას — ქედი მოახრევიანა ერის მარჯაული არსებობის ღვათების წინაშე.

ლოს საკეთილდღეოდ; ყველას აქ გადმოხვეწილ შეგნებულ მამულიშვილებს არაფერი არ უნდა ევაზოროდეს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლის ხანაში და ერთად-ერთი, ეს მიზანი ყველას უნდა გვაერთიანებდეს.

ამ სწორედ ასეთია ამ დიდი პატრიოტის აღსარება!

მიუხედავად ამისა, ჩვენი ემიგრანტულ ცხოვრების ხანაში, მან მწარე გრძობებიც განიცადა; მისი კრიტიკა იყო კეთილშობილი, მაგრამ მას ყოველთვის ემჩინებოდა დიდი დაცვილი (დაკიდული) საყვარელი.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც სრულიად დაუმსახურებლად, ელემენტარული დემოკრატიული წესების და ჩვენი ტრადიციის დარღვევით, ერთმა ნაწილმა ჩვენი

ემიგრაციისა კოლონიის თავმჯდომარეობიდან გადააყენა და როდესაც ამ უკანასკნელად ერთმა პარტია ყოველივე ფაქიზი აღმანიჭრი გრძობების გადაღავით, ვახტანგის მისდამი კეთილშობილი განწყობილება-დახმარების დავიწყებით, თავის საქციელით უმადურად და უხეზად გადაუხადა, ამ უკანასკნელ გაქცეობებამ ბნელ ვახტანგს უაღრასი სულიერი ტანჯვა მიყენა. ჩვენ, მისმა მეგობრებმა ვცადეთ ვახტანგის ჯანმთელობისათვის მადუნებელი ეს მწარე განცდები გაგვეწმენდინა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ეს ცდა ამას დარჩა.

საერთოდ ასეთია ბუდი დიდ პიროვნებათა: გალილიე აწამეს, ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს და მრავალი სხვა ასეთი მაგალითებიცაა.

ინი - განი.

საერთაშორისო ვითარება და ემიგრაციის მოვალეობანი

საერთაშორისო მდგომარეობა დღითიდღე რთულდება, მოსალოდნელია დიდი ისტორიული მოვლენა - ამბების მოწამენი გავხდეთ; საბჭოთა კავშირის მიზანია მსოფლიოზე გაბატონება, კომუნისტური ქვეყნების კრემლის მართვა - გამგებობის ხაზით შექმნა; ეს არის ახალი იმპერიალიზმი. ამის საშუალებანი არიან: უზარ - მზარდი საომარი მანქანა და ინტერნაციონალური კომუნისტური მოძრაობა; ხან ერთის, ხან მეორეს, ხან ერთსა და იმავე დროს ორივეს გამოყენებით, ახალი იმპერიალიზმი ცდილობს მეტი ქვეყნები შემოიერთოს და მრავალ ხალხზე იმეფოს; „კომინფორმი“, ამოფარებული კომუნისმის დროშას, მუშაობს მსოფლიოს ყველა ქვეყნებში და რაზმებს „მეხთვე კოლონას“, ავანგარდს საბჭოთა ჯარისა. ომის სამზადისში დროს მოსაგებლად მოსკოვი მსოფლიოს სხვა და სხვა ადგილებში სახელმწიფოთა შორის უთანხმოებების შექმნასა სცდილობს; ამ მიზნით საბჭოეთის ნაეთის, ეგვიპტის სუეცის არხის საკითხის გამო გამოიწვეულ გართულებას მოსკოვი მხარს უჭერს; მოსკოვი დაინტერესებულია ევროპის მატერიალურ და მორალურ დასუსტებაში; ეკონომიური და პოლიტიკური ევროპის სტაბილიზაცია მოსკოვის მანსებს ასუსტებს, რომ უფლებლად, ადვილად და უომრად გზა გაიკაფოს ექსპანსიისათვის.

საერთო და საყოველთაო ომი საბჭოთა კავშირისათვის წარმოადგენს ერთგვარ რისკს, ამიტომ მოსკოვი დრო გამოიშვებით, ხან ემიგრაციას, ხან მალეკის, ხან გრომიკოს პირის და განსაკუთრებულ შემთხვევაში სტალინის თვითონაც საჯაროდ იძლევა წინადადებას: კორეის ომის შეჩერება, გერმანიის შთლიანობის აღდგენისა, ხელი

სახელმწიფოს შემთანხმებულ კონფერენციის მოწვევისა, — დასავლეთ და აღმოსავლეთის მოსარაგებელ საფუძვლების მოსამზადებლად.

ნამდვილი სახე საბჭოთა რუსეთის კომუნისმისა არის: თანამედროვე ცივილიზაციის საძირკვლის დანგრევა, აღმანიასთავის ძვირფასი ღირებულებათა განადგურება, აუცილებელი თავისუფლების მოსაზება; დესპოტიზმი, ტერორი, ხალხის და პიროვნების დამორჩილება, მსოფლიოს სოცეტიზაცია.

არასოდეს წინად, კაცობრიობა ასეთი საშინელი შეჭარის წინ არამდგარა. მიუხედავად მრავალი საძინელებისა, ერები, სოციალური ლამობენ დაიცვან თავისი არსებობა; ეძებენ სხვა და სხვა საშუალებას წინააღმდეგ ამ ახალ ტოტალიტარულ იმპერიალიზმს, მის მსგეულებას გზა გადაუჭრან. ამ მიზნით უკვე შექმნილია ატლანტიკის პაქტი; კორეის ამბებმა გამოიწვია თავისუფალი ერების შეიარაღების გაძლიერება, ომის ხარჯები ასტრონომიულ ციფრებს უდრის; იაპონიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდო და კავშირი მოეწყო. იტალიის საზავო სტატუსის გადაზინჯვა განზრახულია, გერმანიაში საოკუპაციო მდგომარეობა გაუქმებულია. ერთი სიტყვით, დასავლეთის დიდი და პატარა თავისუფალი სახელმწიფოების ძლიერი კოალიცია ფართოვდება კრემლის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

ყოველივე ამას ლონდონი, პარიზი და ვაშინგტონი, თავის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. აჩესონის ხელმძღვანელობით, მეტაურებს.

ამ რიგად რუსეთი განმარტობებული რჩება; საბჭოთა რუსეთის დამონებული ერები

და ძალით დამორჩილებული „სატელიტები“ ანტიბოლშევიკურ ინფორმაციას მოკლებულნი არიან, რადგან მათ ტერიტორიის საწვდურებზე რეჟიმის ფარდა ჩამოშვეებული.

მსოფლიო ორ მოპირდაპირე ბანაკად გადაიქცა. ერთიც და მეორეც საშინელ შეიარაღებულ ძალებს ამზადებს; მათ შორის დღემდის გაუგონარი დიპლომატიური ჭიდილია გამართული.

და იზადება საკითხი: იქნება მესამე მსოფლიო ომი, თუ ხვეი ჩამოვარდება? წინასწარმეტყველება რა საჭიროა, მით უმეტესად რომ, ომი თუ ხვეი, ჩვენ დაუკითხავად გადაწყდება! და მართლაც ამ მეტად მძიმე და რთულ საერთაშორისო ვითარებაში, საქართველოს პრობლემა მსოფლიო სასწორზე თითქმის არავითარი საიმპიუმს არ შეიკავს.

I. მენშევიკების ერთი წრე და რუსის ემიგრაცია

მაგრამ უნდა ერთია, — თუ ცივილიზაციის დამცველი, აღმანიის და ერის თავისუფლების მოტრფილვე, მოსკოვის დესპოტიის წინააღმდეგ მებრძოლი ვაშინგტონი, ლონდონი და პარიზი — ეს მსოფლიოს ამირანი, ბადრი და უსუფი — გამარჯვებს, საქართველოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდება. აქედან ცხადზე უცხადესია ქართული ერთნული-პოლიტიკური ემიგრაციის იმედი და ორიენტაცია ამ დიდ სამთა საგარეო პოლიტიკაზე უნდა იქნას დამყარებული.

ამავე დროს ემიგრაციამ კავშირი უნდა დაიჭიროს ცენტრალური ევროპის დაპყრობილი სახელმწიფოების უცხოეთში არსებული გაერთიანებულ ორგანიზაციასთან, მებრძოლს დაკარგულ თავისუფლების აღ-

სადგენად — და მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საბჭოთა რუსეთის ყველა ერებს.

ყოველივე ამის სამომავლო და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის საქმეში ამ მითად მნიშვნელოვან ზუნებრივი პოლიტიკური ორიენტაციის ნაცვლად, ჩვენი მენშევიკების ერთმა წრემ, — რუსის ემიგრაციის პოლიტიკური ხაზი გაიზიარა; ამ ემიგრაციის ემისრებს, ბ.ბ. ნიკოლაევსკის და დონ - ლევიის საფულე ლევილი და ბნ კერენსკის პარიზში დაკავშირება და შეთანხმება არჩია. *)

და სწორედ ამ „ლევილის მენშევიკების“ ორატორებმა: ბ.ბ. ევ. გეგეკჭორია, კ. გეგეჩაიძემ, გ.რ. ჟრუბაძემ, ნ. ცინცაძემ და რ. არსენიძემ მათ მიერ მოწვეულ ამა წლის 28 იანვარის კრებაზე უხეში თავდასხმით მონდომეს უკვე არსებული - „ქართული ერთნული პოლიტიკური ცენტრის უცხოეთში“ დაშლა და ამავე ორატორებმა 9 სექტემბრის „მერჩელ“ კრებაზე და 20 ოქტომბრის წინასწარ ხელოვნურად მოწყობილ „ყრილობაზე“, — რუსის ემიგრაციის ემისრებთან დაპირებულ შეთანხმების განაღდება. შეუცადნენ მოეხდინათ ქართული ემიგრაციის ეთიომდაც „გაერთიანება“ და ამ უკანასკნელის მოსაგენებელი სახელით დონ - ლევიის ანდამატურად მიმზიდველი ძალის საშუალებით „ლევილის მენშევიკე-

*) აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქ. სოც.-დემოკრატიული პარტია, თავგანწირული მებრძოლი დამპყრობელთა წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში სრულიად მხედველობაში არაგვაყავს, ამიტომ ამ პარტიის უცხოეთის მენშევიკების ერთ წრეს უწოდება: „ლევილის მენშევიკები“, ჩვენი საკუთარი ტერმინოლოგით.



ყველაზე ურთიერთმიმართული დიდი ხნით ნა-
ნატრო თანესუფლები და შეუდგა ჩვენი
თვით არსებობის ხანგრძლივი ჯაჭვის მო-
როგი რგოლის გამოქვიშვას.

ეს იყო ჩვენი ისტორიულ მორალური
ტრადიციის მორიგი განადგობა. საქართვე-
ლოს ურთიერთობას მის ახალ დამპყ-
რობელ რუსეთთან ჰქონდა მთლიანად უფ-
ლებრივი ტრადიცია. მთელი მეთვრამე-
ტი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ურთი-
ერთობა აღნიშნულ ნიადაგს არ ვასცილუ-
ბია. როდესაც ქართველი მეფეები მუდამ
პირნათლად ასრულებდნენ ნაკისრ მოვალე-
ობათ. ხოლო რუსები არასოდეს.

ამ მწარე გამოცდილებამ თავიდანვე გა-
დასჭრა საკითხი ჩვენი რუსეთისადმი ნდო-
ბისა. ეს უნდა იყოს საქართველოდ
განამტკიცა საქართველოს ორგანიზაცი-
ით დაპყრობით.

გავიდა დრო. იცვალნენ პირობები და
რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკაც იცე-
ლის სამომავლს. მისი არსება იგივე რჩება.
დღევანდელი რუსეთიც კომუნისტების იდე-
ოლოგიით აგრძელებს იოანე მრახანისა
და ექატერინეს პოლიტიკას. ამ ცვლილე-
ბამ იმპერიალისტების ხასიათშიც ზოგი-
ერთი ცვლილებანი შეიტანა. ახალმა რუ-
სეთმა დაპყრობითი ერებს პოლიტიკური
და კულტურული ავტონომია მინც მი-
ანიჭა; მაშინ კი როდესაც ცარიზმის დროს და-
პყრობილ ერებს საკუთარი უნაზღვრე ლიცე-
ვაც აკრძალული ჰქონდათ. მაგრამ საბ-
ჭოთა ტერორისტულმა რევოლუციამ ხალხს ეს
მცირე მონაპოვარიც ჩაუშვარა. ამიტომ
ქართველი ერის ვერც კმაყოფილება მისი
მოჩვენებით დამოუკიდებლობით და იბ-
რძეის სრული თავისუფლებისათვის. და
ეს ბრძოლა გავრძელება სანამ სრულ
დამოუკიდებლობას არ მოვიპოვებთ. ქარ-
თველი ადამიანისათვის სხვა გზა გამორი-
ცხულია. ჩვენი დამოკიდებულება რუსეთ-
თან, სდგას საერთაშორისო უფლებრივი
ნიადაგზე. ამ საკითხში არ შეიძლება ად-
გილი ჰქონდეს რაიმე დათმობას. ზოგიერთი
ზერეული მოაზროვნეთა მიერ აღრე-
ვა; რუსეთის დღევანდელი რევოლუციის საკი-
თხისა, ჩვენს ძირითად ეროვნულ მიწრა-
ფებასთან, არის სრული უფიცობისა და
სულმდაბლობის შედეგი. ეროვნულ ბრძო-
ლაში ჩვენი მტრის რევოლუციის საკითხი ჩვენ
არ გვინტერესებს. რაგინდ სასტიკი მო-
წინაღმდეგეც ვიყავით ბოლშევიკური

იდეოლოგიისა და მათი წყობილებისა, ამ
ნიადაგზედ ბრძოლა კანონიერი იქნება
ჩვენთვის, ჩვენს ქვეყანაში, თუ დამოუკი-
დებლობის პირობებში ეს საჭირო გახდე-
ბა. რუსეთში რა რევოლუცია უნდა იყოს, ეს
ჩვენ არ გვეკითხება. საყოველთაოდ აღი-
არებულია, რომ ბოლშევიზმი არის მკვიდ-
რი შეილი რუსის ხალხისა, მისი სულისა
და ზნის უმუქლო ანარქელი, მარქსიზმის
ძალმომრეობის იდეით გამაგრებული. ჩვენ
არსებითად სურვილი და უფლებაც არა
გვაქვს, მათ შინაურ საქმეებში ჩარევისა.
ისევე, როგორც არ გვინდა, ისინი ჩაერი-
ნენ ჩვენს საქმეებში. ისიც ხომ საქვეყნო
ფაქტია, რომ საქართველოსთვის ეს რევი-
მი უცნობი იყო. ის დამპყრობელმა ძა-
ლით მოახდია თავს და როდესაც დაპყრო-
ბა დასრულდება — ლოდიკურად მისი რე-
ვიმიც თან უნდა გადავიყვანო.

რომ დღეს ჩვენი პირველი მიზნად მივი-
ღოთ ბრძოლა რევოლუციის ნიადაგზედ, რასაც
გვასწავლიან რუსეთის ახალი მპერიალის-
ტები და რაც უბასუხებს მათს უმუქლო
ინტერესებს, მაშინ ავცდებოდით ნამდვილ
მიზანს ჩვენი ბრძოლისა. აზრს დაუკარგა-
ვდით თვით ჩვენს ემიგრანტობის ფაქტს.
ასე უნდა აფასებდეს ყოველი ქართველი
ჩვენი რუსეთთან დამოკიდებლობის სა-
კითხს ყოველი ქართველი ვინც არის ქე-
მპროტი დამცველი ჩვენი ქვეყნის დამო-
უკიდებლობისა. პოლიტიკაში გამომჩინე-
დალი ქართველი ადამიანი, ასე ადვილად
არ უნდა წამოიფაროს მტრის მიერ მოხერხე-
ბულად ნასროლი ანკესს.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს აგრეთვე
გვაგონით ჩვენს მეგობარ უცხოელებს ნა-
მდვილი გასხვავება, რუსებისა და მათ მი-
ერ დაპყრობილ ერების ბრძოლათა შო-
რის.

რუსეთის სამი რევოლუცია გამოვსცადეთ:
ყველაზე ურთიანობად, ლაღატივ, დაპყრო-
ბით და ხოცვა-ჟლეტით უბასუხა ქართ-
ველი ერის მიერ სამეუბროდ გაწვდილ
ხელს.

ამ გზას ადგია რუსეთის თავისუფალი
ემიგრაცია. ისინი ისევ ქველმსობად
მღერავენ. მათთვის ამ ორმოცი წლის მან-
ძილზედ ახალი არაფერი მომხდარა. ამ
დროის განმავლობაში კულტურულ ეფ-
რობასა და ამერიკაში მათ ახალი ვერა-
ფერი ისწავლეს. ისინი მოგაგონებენ იმ
ადამიანებს, ვინც დაიძინეს 1917 წელს და

გაიღვიძეს 1951 წელს. მათვის ახალი რუ-
სეთის კარები უნდა გაიხსნას ისე, რო-
გორც ის დაიხურა 1917 წელს.

საბჭოთა რუსეთმა ქალაქზედ მანც
სცნო ერთა დამოუკიდებლობა. ამ ფაქტს
უკვე აქვს 30 წლის ტრადიცია. ბუნებრი-
ვი იყო, რომ რუსის ემიგრაცია ამაზედ
შორს წასულიყო. სინამდვილეში ის ფიქ-
რობს, რომ ბოლშევიზმის დამხობასთან
ერთად გაანადგუროს ის მონაპოვარიც,
დაპყრობილ ერთ რომ შეიძინეს საბჭოთა
რუსეთში. მათ უნდა იყოს სხვის დაკე-
რით გააცამტყვრონ 30 წლის იურიდიუ-
ლი არსებობის ფაქტი და ერთა საკითხი
თავიანთ შინაურ საკითხად აქციონ. მიუ-
ხედავად სხვა და სხვაობისა, ეროვნულ სა-
კითხში ყველანი ერთად არიან. ყველს
ადგას „მთლიანი და განუყოფელი რუსეთ-
ის“ ნიადაგზე; განსხვავება მხოლოდ ტა-
ქტიკაშია თუ რა გზით შეინარჩუნონ ეს
მთლიანობა. რუსის ემიგრაციის სამი მეო-
თხედი გასრულებულად არა სცნობს ერთა
უფლებებს. ერთი მცირე ნაწილი თითქმის
მას ანგარიშს უწევს, მაგრამ საკითხის გა-
დაწყვეტის უფლებას თვითონ იტოვებს.
ამ მხრივ, ჩვენ გარკვეულად გვირგვინა
ვიღებთ წინაშე ისეთი მტრისა, ვინც ახ-
დალად არა გვცნობს. ხოლო ვინც გვატ-
ყუებს, ის ყველაზედ საშიშია მტრთა
შორის. რადგან მათ ტაქტიკას შეუძლია
ჩვენი ბრძოლის ნეიტრალიზაცია, ჩვენი
ბრძოლის რიგებში მერყეობის შეტანა, რა-
საც ადვილად შეიძლება წამოიფაროს სუბტი-
ლური მერყევი ელემენტები.

ეს დამტკიცა კიდევ უკანასკნელად
მომხდარმა ერთმა ფაქტმა ამ წელს გერ-
მანიაში, კერძოდ მეთაურობით მომხ-
დარმა ხუთმა სოც. და დემოკ. ორგანი-
ზაციებმა კიდევ გადმოისროლეს ე. წ.
„ლიბერალური“ ლოზუნგი, ერთა თვით
გამორკვევის უფლებისა, რაც არსებითად
არა ახალია. ის ჯერ კიდევ ამ 50 წლის
წინეთ მიიღო რუსეთის სოც.-დემოკრატი-
ამ (მენშევიკ-სოლშევიკებმა), და ისიც
ვნახეთ, როგორ აასრულა. კერძოდ და
კომპანია კვლავ ძველ პანგებს გვიმღერო-
ბს. ჩვენ შევძლებდით მიგვანია მკითხველის
ყურადღება შევიჩუროთ მათ გვემტყუანდ;
ეს სჭირია მხოლოდ ისეთ ადამიანს, ვის-
თვისაც თავისი ერის უფლებრივი, ან ის-
ტორიული არსებობა ეჭვის ქვეშ არის და-
ყენებული. ქართველისათვის მისი კრიტი-

კაც დამამტკიცებელი იქნებოდა. მით უმე-
ტეს, რომ კერძოდ და კომპანის წინა-
აღმდეგ, 28 სექტემბერს 1951 წ. ნიუიორ-
კში შექრებულმა რუსის ემიგრაციის ყრი-
ლობამ, სადაც წარმოდგენილი იყო 80-ზედ
მეტე ორგანიზაციის დელეგაცია, სასტი-
კი რეზოლუცია გამოიტანა და თვით კე-
რძისკი რუსეთის მოღალატედ გამოაცხა-
და...

რუსეთის ემიგრაციის უდიდესმა მსოფ-
ვლიო კატასტროფებამაც ვერ აუხილეს
თვალე. მათ ვერ გაიფეს მთელი კაცობ-
რიობის სოციალური ევოლუციის სიმწი-
ფე; სიტყვით მანც უნდა ეცნოთ ერთა უფ-
ლებები. მერე ცდილიყო საქმით, აღმოეფ-
ხერა ჩვენს შორის საუკუნოებით დამყა-
რებული უნდაობა და მხოლოდ შემ-
დეგ ელამპარაკა რაიმე იქნებოდა.

ჩვენ რომ ვიყოთ ჭეშმარიტი რუსის პა-
ტროტკი და ვსცხოვრობდეთ მე-20-ე საუ-
კუნის მეორე ნახევარში, ასე ვიმოქმედ-
დით.

ხოლო ჩვენთვის, ქართველებისათვის, რუ-
სების ახალი დაპირებებიც არ იქნებოდა
საქმარისი. ჩვენ მათ სიტყვებს ნისიად წა-
მოსწოლოდ თავისუფალ ევროპაში, ვერ
გვნდობთ. მაშინ ყველსაზედ მეტად ბოლ-
შევიკებს უნდა ვენდობთ, რადგან მათ
კონსტიტუციაზედ უფრო ლიბერალურს,
ვერც ერთი რუსის ემიგრანტი სიტყვითაც
ვერ ბედავს დაგვიჩრდეს!

ყველა ამის შემდეგ რანაირად შეიძლე-
ბა რუსის ემიგრაციისადმი ნდობა, რომ-
ლის სამი მეთოხედი ახლიად უარპყოფს
ჩვენს თვით ამსახლობის უფლებას, ხოლო
უმცირესი იმსაც გვარამეფს, რაც დღეს
ვაქტიურად გვაქვს მოპოებული; თუნ-
დაც საბჭოთა რევოლუციის ფარგლებში!

ქართველი ემიგრაციის იმეში გარკვეუ-
ლია. რუსეთი: თეთრი, წითელი თუ შავი,
არის საქართველოს პოლიტიკური მტერი.
მტრთან კი არ შეიძლება არსებითად ლა-
პარაკი, სანამ მისი უკანასკნელი ჯარის
კაცი არ დასტოვებს ჩვენს მიწა-წყალს.

რუსეთთან ჩვენი ახლო ურთიერთობა
თუ საქირო ვახდა, ეს შესაძლებელია მხო-
ლოდ და მხოლოდ კონსტიტუციონალურ
ნიადაგზედ. ამ ურთიერთობის დამყარების
უფლება ეკუთვნის მხოლოდ, ჩვენი ერის
ნამდვილ სუვერენობის გამომხატველ ორ-
განოს. ეს კი შეიძლება მოხდეს, როცა სა-
ქართველო იქნება დამოუკიდებელი. რო-

ბის“ ფიქტიური „ქართული ნაციონალური
საბჭოს“ ორი დელეგატი ვისბადენის სამ
ნოემბრის თათბირზე დასასწრებლად გატა-
ცხული იქნა. და ეს ორი ეხლა უკვე აღ-
ტაცებული დელეგატი სან დონ - ლევი-
და ბ. კერენსკის ვისბადენის თათბირზე სა-
ესებით და საბოლოოდ შეუთანხმდა: უწი-
ნარეს ყოვლისა ბოლშევიკური რევოლუ-
ციის წინააღმდეგ საბრძოლველ საქმეში, მთლიან-
ნი რუსეთის ადღევანდელ და მხოლოდ შემ-
დეგ დამონებულ ერების თვითგამორკვე-
ვა. საქართველოს დამოუკიდებლობის
საკითხი ნახსენები არ არის. (თვით ვისბა-
დენის 3 ნოემბრის 1951 წლის თათბირის
შინაარსი, მისი შემადგენლობა და ამავე
თათბირზე 7 ნოემბერს მიღებული დეკლარ-
აცია ამავე გაზეთის სხვა ადგილას განმა-
რტებული იქნება).

და როდესაც „ლევილის მენშევიკები“
რუსეთის ემიგრაციის ეპოტინებიან, ისინი
ქართველი ხალხის წინაშე დიდ ბოროტებას
სჩადიან, ისტორია ვააკრავს მათ სამარცხ-
ვინო ბოაზე, რადგან საქართველოს ისტო-
რიული ტრადიციის ლალატობენ და აი რა-
ტომ?

II. ბ. აჩეხონი და რუსული პრესა

ამერიკის შეერთებული შტატების საგა-
რეო მინისტრის ბ. აჩეხონის ქართველი ხა-
ლხისადმი სიმბატიით სავსე მიმართვამ ამ
წლის 26 მაისს და მისივე განცხადებამ ამე-
რიკულ სენატში 26 ივნისს „რუსეთის აგ-
რესიის“ შესახებ, რომელიც გრძელდება
„ავტო ხუთას წელიწადზე მეტი“ რუსე-
თის ემიგრაციის ყველა წრეებში გამოიწ-
ვია მთელი რიგი პროტესტებისა.

ამ უკანასკნელის შინაარსზე იღებს ჩვენ
არ შეგვიძლებია, რადგან ამ საგაზეთო წე-
რილში ეს დიდ ადგილს დაიკავებს.

მხოლოდ რუსეთის ემიგრაციის უმთავ-
რეს გამომხატველის „ხალხთა განთავსუ-
ფლებისათვის მესრძოლი ლიგის“ დეკლარ-
აციის დებულებიდან საჭიროთ მიგვანია
აღნიშნის შემდეგი:

Примечание: „Настоящая резолю-
ция не распространяется на суверен-
ные государства, которые были за-
хвачены Сталиным при помощи союза
с Гитлером в 1939-40 г. г. Суверенитет
этих государств автоматически восста-
навливается, и вся будущая судьба
этих стран зависит только от воли их
народов“. იხ. „სოც. ვესტ.“ № 8, გვ. 151

შენიშვნის შენიშვნა: მაგრამ რადგან არა
1939 - 40 წლებში, არამედ 1921 წელს და-
ეპატრონა მოსკოვი საქართველოს და მისი
სუვერენიტეტი გააუქმა, მაშასადამე — ამ
რეზოლუციის შენიშვნა, ხომ საქართვე-
ლოზე არაეფექტულია! რას იტყვით „ლე-
ვილის მენშევიკები!“. ამას თუ დაუშა-
ტებთ კიდევ:

“Все сказанное выше вообще не от-
носится к Эстонии, Латвии и Литве.
Их насильственное присоединение к
Советскому Союзу вопреки воли по-
давляющего большинства населения у
всех в памяти и еще долго не станет
фактом, покрытым исторической дав-
ностью. Поэтому в случае крушения
коммунистической диктатуры, эти
три прибалтийские республики непо-
средственно вернутся к самостоятель-
ному государственному существова-
нию“.

ამ სამ ბალტიელ რესპუბლიკის გვერ-
დით საქართველო არ არის ნაგულისხმევი;
და რადგან დღეს ესტონის, ლატვიის და
ლიტვის ოფიციალური სრულუფლებიანი
წარმომადგენლები იურიდიულად არა-
ბაზენ ვაშინგტონში და ლონდონში, თა-
ვისთავად ცხადია რუსის ემიგრაცია ვერ

ბედავს ხმა ამოიღოს ამერიკის და ინგლი-
სის მთავრობათა წინააღმდეგ; საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობა კი არა მარტო
უცხოელ სახელმწიფოებში მცერ, არამედ
თვით მოსკოვშიც იურიდიულად იცნო, სა-
ქართველოს დამუქნებულმა ქრებამ მისი
კონსტიტუცია შეინარჩუნა და 1921 წ. დაამ-
ტკიცა; უცხოეთის სატახტო ქალაქებში
სრულუფლებიანი წარმომადგენლებიც ჰყა-
ვდა.

მაშ რაშია საქმე, რომ საქართველოს სუ-
ვერენული უფლების ეს მღალატელი მა-
სალა რუსის ემიგრაციას არაფრად მიაჩ-
ნია? მისი წარმოდგენით საქართველო მეხ-
სიურებიდან აღმოჩიხულია და ფაქტიუ-
რად დროს სინანტობივით ისტორიულა-
დაცდაფარულია — წაშლილია?

თავის თავად ცხადია, რუსეთის ემიგრა-
ცია შეპყრობილი ველიკორუსული ტრადი-
ციით, ამჯობინებს საქართველოს თავის სა-
ზღვრებში მოქცევას! ნუ თუ „ლევილის
მენშევიკებს“ ეს ფაქტი არაფერს უზუნ-
ბა, თვალებს არ უხელს?

ბ. აჩეხონი კი სთქვა: „ხშირად ყოფი-
ლა საქართველო დაპყრობილი მაგრამ
არასოდეს დამორჩილებული“ და მართ-
ლაც ქართველი ხალხი მრავალ-საუკუნო-
ებით ოფლითდა სისხლით იარაღით ხელ-
ნი, თავის მიწა-წყალს, ეროვნულ სახეო-
ბას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას
იცავდა. ამ უკანასკნელ ოცდაათი წლის გა-
ნმავლობაში დამპყრობელთა წინააღმდეგ ის
ბრძვის დაკარგულ თავისუფლების აღსა-
დგენად.

საქართველოს მეფეები ხშირად ეძებდ-
ნენ მტრთა წინააღმდეგ დამხმარე მოკავ-
შირეებს; ეს უკანასკნელნი თუ ხშირად არ-
ღვედნენ მათთან დადებულ ხელშეკრუ-
ლებას — ეს სულ სხვა საქმეა! ხოლო დღეს

არა მარტო პატარა ერები, არამედ დიდი
ერებიც თავდაცვის მიზნით მტრის მოსა-
ლოდნელ აგრესიის წინააღმდეგ ურთი-
ერთ შორის კავშირს აწყობენ.

საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა
არც ერთი შემთხვევა, რომ მის პასუხის-
მეცხელ ხელმძღვანელებს მოლაპარაკება
გაემართათ ან კავშირი შეეკრათ ისეთ ძა-
ლებთან, რომელიც საქართველოს სუვე-
რენულ უფლებას არ სცნობდნენ.

მეფის რუსეთში საქართველოსთან დად-
ებული ხელშეკრულება დაარღვია და მან
დროთა მსვლელობაში საქართველო თავის
საზღვრებში მოაქცია და რუსეთის ორ ფე-
დერაციად გახდა; ბოლშევიკურმა რუსეთმა
საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლე-
ბა 7 მაისს 1920 წელს უწყვეტოდ იცნო,
ხოლო ომის გამოუცხადებლად 1921 წელს
იგი დაიპყრო; დღეს კი რუსეთის „დემოკ-
რატიის“ ემიგრაციის საქართველოს სუვე-
რენიტეტის აღიარება ქალაქზედაც არა
სურს და მისი დამოუკიდებლობის აღდგე-
ნის საკითხი რუსეთის შინაურ რევოლუციის და
პლუბისკიტის საგნად გადააქცია.

საქართველო კი ბრძვის არა მარტო რე-
ვიმის წინააღმდეგ, არამედ თავის დამოუ-
კიდებლობის აღსადგენად.

რევოლუციის დროებითი — ცვალებადია — ერთი
კი შეუძლია — უცვლელია.


თანხმად ამ ისტორიულ ფაქტებთან
გამომდინარე, სიმართლე ავალებს ქართ-
ველ ეროვნულ ემიგრაციას, არც მოლაპა-
რაკება, არც რაიმე შეთანხმება ან კავშირი
რუსის ემიგრაციასთან არ იქნებოდა.

ამ დებულებას მტკიცედ და ურყევად
იცავს და კიდევ დაიცავს „ქართული ერო-
ვნული პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“.

ბ ი ო რ გ ი შ უ რ უ ლ ი

(ნეკროლოგი)

ოცდაათი წელიწადი შეპყრულა მას აქეთ რაც დავტოვეთ ჩვენი მშენებელი სამშობლო, და რამდენი საფლავი გაითხარა უკვე უცხოეთში, ვისაც მათს ქვეყანაში დაბრუნების იმედი ასულდგმულვდა, ვინც ამ სამშობლოში გაატარა ცხოვრების საუკეთესო წლები, მას შეაწირა თავისი ძალევი, დარბოლის მღვდელმა გამამხნე-



ვებელი ოცნება იყო, — მოკლე მაგრამ რაზომ ტკბილი ხანა საქართველოს დამოუკიდებლობისა.

სწორედ ამ ხალხის რიგში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა მამული-შვილს, და საზოგადო ასპარეზზე მსცოვან მუშაკს, გიორგი ყურულუს, რომლის დაკარგვას პელოთობს მისი ცოლ-შვილი, მეგობრები და ქართველობა.

გიორგი ყურული დაიბადა 23 აპრილს 1865 წ. სოფელ ჯეულალ-ოღლუში (ბორჩალოში), სადაც მისი მამა მდივან-ბეგის თანამშრომელი იყო გამწესებული. მამამ სიყრმე და ახალგაზრდობა გაატარა სოფ. ასრბოში, მამის მამულში და თბილისში.

1877-1878 წ. ჩუქს-თსმალეთის ომის დროს, მშობლებმა მიაბარეს თბილისის სასწავლო გიმნაზიაში (შემდეგ კორპუსად წოდებული) და 1886 წელს, ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულმა გიორგიმ გამოიცვალა აზრი სამხედრო სამსახურში შესვლისა და პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად.

მან ამოიჩინა ორი დარგი მეცნიერების, რომელიც, მისი აზრით, საყვარელ სამშობლოს უფრო გამოადგებოდა — სამთამა-დნო და საავრონომიო, და უნდოდა შესვლა პარიზის სამთამადნო უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ არც იქ, არც პარიზის საავრონომიო უმაღლეს ინსტიტუტში (თუმცა მიღებული იყო). ვერ შევიდა და პარიზში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, ოჯახური მიზეზების გამო, თბილისში დაბრუნდა. ამ წელიწადმა ბევრი რამე შექმინა ახალგაზრდა, ცოცხალი ჭკუის და სერიოზულ ბუნების პატრონს, გიორგი ყურულუს. ის დაეწეა ფრანგული ლიტერატურის და ცხოვრების გაცნობა-შესწავლას, და აქვე გამოვლინდა სურვილი წერისა. აქ მან დასწერა პირველი ორიგინალური მოთხრობა „ფიცი მისცა“, რომელსაც თბილისში იყავით „ივერიის“ რედაქციას უგზავნის, ფსევდონიმით ხელმოწერილს. აქედან იწყება მისი მრავალმხრივი და მდიდარი ნაყოფიერებით მუშაობა სამშობლოს სასარგებლოდ: რამდენ საქმეს მოჰკიდება ხელს, როდესაც 1893 წელს, მოსკოვის საავრონომიო აკადემიის კურს და-

ცა დროთა მავლლობაში რუსეთი დაგვიჩვენებდა მის ჩვენდამი კეთილ მუშობელურ განწყობილებას; როცა ჩვენს შორის ოდნავ მაინც შეიჩვივა უნდობლობა, მაშინ და მხოლოდ მაშინ ექნება პოლიტიკური აზრი მათთან რაიმე ერთობაზედ ლაპარაკს. ეს უნდა იყოს ჩვენი ემიგრაციის მჩიდლის ჭეშმარიტი გეზი, ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დადასტურებული.

ალ. მანველიშვილი.

მათაუბრებელი, ეს ახალგაზრდა, თვალსა-მშვენიერი, იანათლებული და წრფელი გულით მონდომებული თავისს ქვეყანას ემსახუროს ყველგან, სადაც მისი ცოდნა დასჭირდება.

არც საზოგადოებასა და მის გამძლეობა დარჩა შეუნიშნავად ამ ახალგაზრდა ქართველის საზოგადოებრივ მუშაობისათვის მიღწევილობა.

ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდნენ იმ დროს გ. ლასხიშვილი, ძმები ყიფშიძეები, ჯანდელი, და ამ ჯგუფს მოემატა ახალი ძალა — გიორგი ყურული, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას ამ, მისთვის სამუდამოდ ღვთაებრივ არსებად აღიარებულ „ილიას“ გაზეთში. ილიაც შენიშნავს ამ ნიჭიერ ახალგაზრდას, და ყველგან პაატრონობს.

გიორგი ამორჩეულია სათავად-ახნა-ლო ბანკის ზედამხედველ კომიტეტში, დამატებით საზოგადოების კომიტეტის წევრად, სათავად-ახნალო სკოლის (შემდეგ გიმნაზიის) კომიტეტში და ამავე სკოლის ახალი შენობის აღმშენებელ კომისიაში, — და ყველგან ეს ახალი წევრი მუყაითობას იჩენს: მუშაობს თეატრის რეპერტუარის განახლებას საქმეში, სთარგმნის ფრანგულიდან პიესებს, თავის ორიგინალურ პიესასაც „ერთი შემთხვევა“-ს შეიტანს ქართული დასის რეპერტუარში, რომელიც ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის ბუნების დიდგმული, დიდხანს რჩება ქართულ თეატრის სცენაზე და საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს.

ილია ჭავჭავაძე აყენებს გიორგი ყურულის კანდიდატურას მოხუც პოეტის რაფიელ ერისთავის შემდეგ, ქართული პრესის ცენზორად. გ. ყურული ამ საქმეშიც გულმოდგინედ თავის ქვეყანას ემსახურება, სანამ 1902 წელს მას აირჩევენ ბათუმის საქალაქო სამმართველოში გამგებობის წევრად და ქალაქის თავის მოადგილედ.

1905 წ. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე მიდიან, თავ. გორონციუის, ხელმწიფის მოადგილის წინადადებით, — სახელმწიფო საბჭო პრეზენტის გარეგნის დროს კავკასიის ინტერესების დასაცავად. აქაც ილიას არ იფიქრებს თვის უწინდელ თანამშრომელს, და ბათუმიდან ეოქონცოვი, ილიას თხოვნი, გზავნის მათთან ერთად პეტერბურგში გ. ყურულუს, რომელიც პეტერბურგში გზავნის სოლსკის კომისიაში, იცავს თავის სამშობლოს ინტერესებს, და კითხულობს თავის მოხსენებას კავკასიაში რუსების გადმოსახლების და უშვებლობაზე.

1910 წ. თბილისის ქალაქის გამგებობა ირჩევს გიორგის გამგებობის წევრად, სადაც საყოველთაო პარტიციპაციის დიმიხსურა თავისი პარტიისანობით, ცოდნით და მუყაითობით.

გ. ყურული იყო ამორჩეული ქიათურის შავი-ჭვის მწიფელობის კომიტეტის თავმჯდომარე. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის ბედნიერი ხანა გვარჯუნა ბედმა, გიორგი ყურული მიწვეული იყო ფინანსთა მინისტრად.

მაგრამ, რადგან არ უნდოდა საქართველოსთვის დიდ მნიშვნელოვან, შავი-ჭვის მრეწველობის დატოვება, მინისტრობა იკისრა პირობით, რომ შესძლებოდა გავრცელება შავი-ჭვის პატრონობისა, უანგარიოდ (უფავამადროდ). ასეც იყო, სანამ გავრცენებოდა შავი-ჭვი, — ეგრობა — ამერიკაში ექსპორტების მოსაწყობად. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში ბოლო მოუღო ამ საქმიანობას.

გ. ყურულმა არა მონდობა საქართველოში დაბრუნება და თავისს ცოლით და ორი ვაჟით ემიგრანტების ცხოვრების სიძნელე არჩია. ბევრი მწარე დღეები შეხვდა ამ საქმედ ბედისაგან თითქოს განუბიერებელი ადამიანს, მაგრამ ის საკვირველის მონდობებით იტანდა გაჭირვებასაც და უბედურებასაც. — მისი ვაჟის სისვლილი მის კარსაც რომ მიადგა

ის ყველა ნაცნობს, ქართველს თუ უცხოელს ხედებოდა მეგობრული დიმილით და სსაუბრებოდა საგნებზედ ან ფაქტებზე, რომელთაც საზოგადო ინტერესი ჰქონდა; მაგრამ მისგან არავის გაუგონია ჩივილი საკუთარ ბედის შესახებ. უკანასკნელ წლებში მისივე ავადმყოფობის გამო,

დონ-ლევინის ინტერვიუ

გერმანიაში ახლად გამოხული, კავკასიელთა ერთი ჯგუფის თურქული (რუსულად „თავისუფალი კავკასია“ № 1) კორესპონდენტი იყობს ბ. ისაკ ლონ-ლევი-ინს; რომელიც არის წარმომადგენელი ამერიკული კომიტეტისა ევროპაში, აღნიშნული კომიტეტის მიზნებისა და მოღვაწეობაზე. მოგვყავს მხოლოდ საინტერესო მუხლები.

კითხვა: არ შეიძლება, ბ. ლევინო, აცნობოთ ჩვენს მკითხველებს, თქვენი კომიტეტის საქართო მდგომარეობა; ვისი ინიციატივით იყო ის შექმნილი, ვინ დააარსა იგი და რაოგონია მისი აზრი ეროვნულ საკითხზე?

პასუხი: ჩვენი კომიტეტი შექმნილია ანტი-კომუნისტურ თურქული სტა მიერ, რომელიც უკვე დიდი ხანია, საბჭოთა მრავალრიცხოვან ემიგრაციაში, ქადაგებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთლიანი ფრანკის შექმნის იდეას. კომიტეტის დამაარსებელია შორის იყოფება ისეთი პიროვნება, როგორც არის ბ. ვილიამ ჩემბერლინი; ავტორი მრავალ ნაშრომთა, საბჭოთა რეჟიმის შესახებ, რომელიც ფართოდ ცნობილია, როგორც რუსეთის ხალხთა სუვერენობის დამცველი, კერძოდ კი უკრაინელთა. ჩვენი თავმჯდომარე ბნი ევგენი ლაიონსი უკვე რამდენიმე წელიწადია იმპრესის იმისთვის, რომ ამერიკის საზოგადოებას მიადგინოს ფაქტი, რომ რუსის ხალხი არის მსხვერპლი ბოლშევიზმისა, ისე როგორც სხვა ხალხები და რომ გაიფიქრებდნენ რუსის ხალხის მის კომუნისტურ უზურბატორებთან, არის ნაყოფი შოვინიზმისა და ანტი-დემოკრატიზმისა... აგრეთვე ნება მიბოძეთ მივუმატო სახელი თქვენი მორჩილი მსახურის, რომელიც 1924 წლიდან ახელს საბჭოთა ტერორისტულ რეჟიმს, სიცრულსა და იმპერიალიზმს და სხვა ცნობილი პირნი. ჩვენი კომიტეტის აზრი ასეთია: ამოცანა, რომელიც აღდგას პირველ რიგში რუსის და არა რუსის ხალხების წინაშე, რომელნიც დამონებულნი არიან ბოლშევიკური დიქტატურის მიერ, არის დამობა საბჭოთა რეჟიმისა. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ეროვნული საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენს კომიტეტში ეროვნულ საკითხზედ ერთი აზრი არ არსებობს. მხოლოდ ჩვენ ერთნი ვართ იმაში, რომ გავერთიანებული ფრანკით არის შესაძლებელი ანტი-ხალხური საბჭოთა რეჟიმის დამარცხება.

ყველაზე საინტერესოა

კითხვა მეოთხე: სათქვამს თუ არა თქვენი კომიტეტი (ამერიკული), რომ რუსების მიღებული პლატფორმა (ფიუსენსა და შტუტგარტში) საფუძვლად სხვა მსურველებისათვის საერთო ფრანკისა?

პასუხი: ჩვენი კომიტეტი სთვლის, რომ შეთანხმება რუსებისა და სხვა ერთა წარმომადგენლებსა შესაძლებელია მხოლოდ თანასწორობის ნიადაგზე შესთანხმებულ მონაწილეთა ... და სს.

აი, ეს თანასწორობაც ვერ დაიცვას ჩვენმა „დელეგატებმა“ და დასთანხმდნენ ისეთ „კომისიასზედ“, საცა სამი რუსია და მხოლოდ თითო წევრი სხვა ერებისაგან.

ოთახში გამუდმებული ყოფნაც მოემატა მის სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ტკბილი ხასიათი და მალეუკეთილშობილესა იზიდავდა მის ხალხში ნაცნობს და მეგობარს. უნდა ესთქვათ, რომ ღმერთმა მას ერთი უღაცა ბედნიერება — მის გვერდით გვერდით იყო ყოველთვის — ბედნიერ დღეებში თუ უბედურებაში ერთგული მეგობარი, მხნე და დაუღალავი მისი მომვლელი; დიდი ენერჯის დამტკიცე ხასიათის პატრონი, მისი მუდმივ ქართველი ქალი, რომელიც გიორგის უკანასკნელ წამამდე ცხოვრებას უტკობდა.

მაგრამ სიკვდილის უღმობელობას ვერც ეს თავდადებული მუშავე შეაჩერებდა: 9 სექტემბერს ამა 1951 წ. გიორგი ყურული იარდაიცვალა და ლევილში, თავის შვილის გვერდით იბოვა საუკუნო მისვენება

საუკუნო იყოს ხსენება მისი, ხსენება და კურთხევა მისი. ნინო ზურაბიშვილი.

პასუხი ბ. ვ. ნოზამს

ეს არის მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი „მამული“-ს მე-3-ე რვეული, სადაც თქვენ მიერ შეთხზულია 1921 წ. ომის ამბები, რბილად რომ ვსთქვათ, შეცდომებით სავსე და საქართველოს შეიარაღებულ ძალების მეტად დამამცირებელი.

ჩვენი სამხედრო ძალები (ჯარი და სახალხო გვარდია) 8-9 დღის განმავლობაში გმირულად გაუმკლავდნენ 5-ჯერ მეტ რიცხოვან რუსულ წითელ ჯარს კოჯორ-ნორიოს ფრონტზე.

ჩვენმა ჯარმა დაიხია მაშინ, როდესაც მამკოდი, გლდანი, აგვალა და ოლეგისკოვ მტრის ხელში იყო და მტერი უკვე დამონდა დიდი მინდორში, მანგლისიდან ჩამოსული.

დილით 25 თებერვალს, მტკვრის მარცხენა მხარეზე დახევით მსვლელმა ჯარის ერთი ნაწილმა გაშალა შარი, ჩამოსწრაზა ხარხარები და აგრეთვე ჯავშნოსნების საშალებით გაარღვია ალყა, უკუ ადგომტერი და მშველათ დაიხია მცხეთისაკენ.

არც მთავარ საქდალს შეეძლო დედა ქალაქის დატოვება მთავრობის დაუდასტურებლად, და არც თბილისის და კოჯორის შეტევისათვის მტერს არ სჭირდებოდა მტკვრის გადალახვა და სხვა ბევრი ამისთანები.

ბ. კვინიტაძე.

ცნობის ფურცელი

მივიღე თქვენი ცნობის ტექსტი 16 ენკენსთეს 1951 წ., მიუნხენში შემდგარ ჩრდილო-კავკასიელთა ყრილობის (დაესწრო 200 კაცი) რეზოლიუციისა. უადგილობის გამო, მოგვყავს შემოკლებით:

„მოისმინა რა ყრილობამ ჩრდილო-კავკასიის ეროვნულ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ა. მაგომას მოხსენება, — დაჰგმო კერესკის მოქმედება და ლენერალ ზირე-რახოვის ავანტიურა და ურყველ იბრძვის საბჭოთა ტირანიის და კავკასიის გამოყოფისათვის რუსეთისაკენ.“

30 ნოემბერს, მიუნხენში, აღმოსავლეთ ევროპის ერთა, კავკასიის და თურქესტანის კონფერენციაში, — რომელსაც დაესწრნენ გერმანელი და უცხოელი პრესის წარმომადგენლები, — აგრეთვე სასტიკად გაილაშქრა რუსების ცდის წინააღმდეგ, ბოლშევიზმის დაქვემდებარებული დედად შეინახონ რუსული იმპერია. კონფერენციის მომხსენებლად და თავმჯდომარედ იყვნენ უკრაინის რადის თავმჯდომარე დიმიტრო ანდრეევსკი და ამ რადის წევრი — მიკოლა ლივიცი.

რეზოლიუციას, რომელსაც საგებით ეთანხმება ჩვენი „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი“, და „ქართული-ამერიკული ლიგის და სათავისტომოს“ 7 ოქტომბრის რეზოლიუციას, სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად, ხელს აწერს „შუა ევროპის ქართული კომიტეტის“ წევრიც — ბ-ნი ა. კორძია (ოფიციალური ინგლისური ტექსტი ინახება „ქ. ე. ბ. ც. უ.“ — საფაჩეო სექციაში).

ბ-ნი ნ. ცინცაძე კი თავის პაწია „ბიულეტენში“ № 1, მკითხველებს შეცდომაში შეჰყავს, ვითომც ბ-ნი საზონტოვი (უკრაინის მთავრობის წარმომადგენელი) მადლობას უცხადებს კაი საქმისათვის.

მიუნხენის თურნალ „ვერა, ნადეჟდა, ლუბოვ“-ის № 19-ში დაბეჭდილია რუსულად: „სევედენიუ ესახს“, „ქ. ე. ბ. ც. უ.“-ის კომიტეტის ხელმოწერით და დართული აქვს უცნაური შენიშვნა: „ეუთმობთ რა თურნალის ფურცლებს ყველა თანამშრომელსა და ორგანიზაციას; რედაქცია არ იზიარებს უეჭველად მათ აზრს.“

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებად, „ქართული ეროვნული პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ ამით აცხადებს, რომ არავითარი კავშირი არა აქვს ხსენებულ თურნალთან.

გამოვიდა და იყიდება ბ-ნ ალ. მანველიშვილის ორი წიგნი: ქართულად — „რუსეთი და საქართველო“; ფრანგულად — «Histoire de Géorgie». გამოწერა შეიძლება აიტორისაკენ: 118, rue des Pyrenées, Paris 20^e.

Directeur responsable: R. Gabachvili. Impr. de Navarre, 11, rue des Cordeliers, Paris.